

შპს „ნიცა და კომპანია“ (ს/კ 441487990)  
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
წლისათვის

## შინაარსი

|                                                                                        |    |
|----------------------------------------------------------------------------------------|----|
| ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა .....                                                  | 4  |
| ფორმა N2- საქმიანობის შედეგები .....                                                   | 5  |
| ფორმა N3- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....                             | 6  |
| ფორმა N4- ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი .....                                      | 7  |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....                             | 8  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                             | 8  |
| 2. მომზადების საფუძველი .....                                                          | 8  |
| 3. სააღრიცხვო პოლიტიკა .....                                                           | 9  |
| ოპერაციები უცხოურ ვალუტაში .....                                                       | 9  |
| ძირითადი საშუალებები .....                                                             | 9  |
| არამატერიალური აქტივები .....                                                          | 10 |
| მარაგები .....                                                                         | 10 |
| აქტივების გაუფასურება .....                                                            | 10 |
| იჯარა .....                                                                            | 11 |
| ფინანსური აქტივები .....                                                               | 11 |
| ფინანსური ვალდებულებები .....                                                          | 12 |
| ამონაგების აღიარება .....                                                              | 12 |
| ხარჯების აღიარება .....                                                                | 13 |
| მოგების გადასახადი .....                                                               | 13 |
| დღგ .....                                                                              | 14 |
| 4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ ..... | 14 |
| 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები .....                             | 15 |
| 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები .....                                       | 15 |
| 7. მარაგები .....                                                                      | 15 |
| 8. ძირითადი საშუალებები .....                                                          | 16 |
| 9. არამატერიალური აქტივები .....                                                       | 16 |
| 10. მოკლევადიანი სესხები .....                                                         | 17 |
| 11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები .....                                   | 17 |
| 12. ამონაგები .....                                                                    | 17 |
| 13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი .....                                              | 17 |
| 14. მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან .....                              | 18 |

შპს ნიჭა და კომპანია (ს/კ 441487990)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

|                                                   |    |
|---------------------------------------------------|----|
| 15. სხვა ხარჯები .....                            | 18 |
| 16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები .....         | 18 |
| 17. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ..... | 18 |

## შპს „ნიცა და კომპანია“ (ს/კ 441487990)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

|                                             | შენიშვნა | 31.12.2024წ.     | 31.12.2023წ.     | 31.12.2022წ.    |
|---------------------------------------------|----------|------------------|------------------|-----------------|
| <b>აქტივები</b>                             |          |                  |                  |                 |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                |          |                  |                  |                 |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები  | 5        | 494,156          | 345,958          | 136,998         |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 6        | 321,594          | 461,496          | 20,236          |
| მარაგები                                    | 7        | 135,576          | 80,712           | 56,477          |
| სხვა მიმდინარე აქტივები                     |          | 55,344           | -                | 140             |
|                                             |          | <b>1,006,669</b> | <b>888,165</b>   | <b>213,851</b>  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                |          |                  |                  |                 |
| ძირითადი საშუალებები                        | 8        | 1,637,797        | 394,385          | -               |
| არამატერიალური აქტივები                     | 9        | 94,711           | -                | -               |
|                                             |          | <b>1,732,509</b> | <b>394,386</b>   | <b>-</b>        |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                     |          | <b>2,739,178</b> | <b>1,282,551</b> | <b>213,851</b>  |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>            |          |                  |                  |                 |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>           |          |                  |                  |                 |
| მოკლევადიანი სესხები                        | 10       | 368,264          | -                | -               |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები  | 11       | 164,339          | 408,008          | 212,934         |
| საგადასახადო ვალდებულებები                  |          | -                | 141,276          | 21,368          |
| დაქირავებულ პირთა მიმართ ვალდებულება        |          | 5,551            | 8,273            | 314             |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები             |          | -                | 87               | -               |
|                                             |          | <b>538,155</b>   | <b>557,644</b>   | <b>234,616</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                        |          |                  |                  |                 |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>           |          |                  |                  |                 |
| გრძელვადიანი სესხები                        | 10       | 563,212          | -                | -               |
|                                             |          | <b>563,212</b>   | <b>-</b>         | <b>-</b>        |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                     |          |                  |                  |                 |
| საწესდებო კაპიტალი                          |          | 11,701           | 16,145           | 350             |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)   |          | 1,626,110        | 708,762          | (21,115)        |
|                                             |          | <b>1,637,811</b> | <b>724,907</b>   | <b>(20,765)</b> |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                |          | <b>1,101,367</b> | <b>557,644</b>   | <b>234,616</b>  |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp; ვალდებულებები</b> |          | <b>2,739,178</b> | <b>1,282,551</b> | <b>213,851</b>  |

გამოსამზებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ნიცა და კომპანია“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

.....ა. ლიპინა  
ალექსანდრე ალიბეგაშვილი  
შპს „ნიცა და კომპანია“-ს დირექტორი



თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შპს „ნიცა და კომპანია“ (ს/კ 441487990)**

**ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**ფორმა N2- საქმიანობის შედეგები**

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

|                                                                                     | შენიშვნა | 31.12.2024წ.     | 31.12.2023წ.     |
|-------------------------------------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები                                                                           | 12       | 3,768,225        | 3,047,425        |
| თვითღირებულება                                                                      |          | (1,313,155)      | (1,707,196)      |
| <b>საერთო მოგება</b>                                                                |          | <b>2,455,070</b> | <b>1,340,229</b> |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი                                                      | 13       | (1,336,224)      | (540,434)        |
| მიწოდების ხარჯი                                                                     |          | (73,984)         | (65,598)         |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან | 14       | (28,755)         | -                |
| სხვა ხარჯები                                                                        | 15       | (10,020)         | -                |
|                                                                                     |          | (54,131)         | (4,318)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                            |          | <b>951,956</b>   | <b>729,878</b>   |
| ფინანსური ხარჯი                                                                     | 11       | (34,609)         | -                |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა მოგება დაბეგვრამდე                                         |          | <b>(34,609)</b>  | <b>-</b>         |
| <b>წმინდა მოგება</b>                                                                |          | <b>917,346</b>   | <b>729,878</b>   |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                                                     |          | <b>917,346</b>   | <b>729,878</b>   |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ნიცა და კომპანია“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

.....  
ალექსანდრე .....  
შპს „ნიცა და კომპანია“ -ს დირექტორი

თანდართული მენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ნიცა და კომპანია“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

თანდართული მხარეები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ნიცა და კომპანია“ (ს/კ 441487990)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**ფორმა N4- ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი**

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

|                                                                              | 31.12.2024წ.       | 31.12.2023წ.     |
|------------------------------------------------------------------------------|--------------------|------------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობა</b>                                                 |                    |                  |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები                                   | 4,229,372          | 2,916,835        |
| ფულადი სახსრების სხვა შემოსვლა                                               | (43,619)           | -                |
| მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                                       | (1,934,755)        | (1,752,769)      |
| დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები                                  | (745,544)          | (347,610)        |
| გადახდილი გადასახადები                                                       | (899,128)          | (213,863)        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                       | <b>606,327</b>     | <b>602,594</b>   |
| <b>საინვესტიციო საქმიანობა</b>                                               |                    |                  |
| ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის | (1,340,939)        | (409,427)        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                     | <b>(1,340,939)</b> | <b>(409,427)</b> |
| <b>საფინანსო საქმიანობა</b>                                                  |                    |                  |
| ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან                             | 11,701             | 61,779           |
| ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან                                         | 996,877            | 124,186          |
| ფულადი სახსრების გასვლა კაპიტალის შემცირებისას                               | (16,143)           | (45,986)         |
| სესხის ძირის გადახდა                                                         | (75,943)           | (124,186)        |
| გადახდილი პროცენტი                                                           | (34,609)           | -                |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>                        | <b>881,882</b>     | <b>15,793</b>    |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში</b>        | <b>147,270</b>     | <b>208,960</b>   |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის                                         | <b>345,958</b>     | 136,998          |
| სავალუტო კურსის ეფექტი (მხოლოდ გადაფასება)                                   | 928                | -                |
| <b>ფულადი სახსრები წლის ბოლოს</b>                                            | <b>494,156</b>     | <b>345,958</b>   |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ნიცა და კომპანია“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

.....  
ალექსანდრე კდიბეაშვილი  
შპს „ნიცა და კომპანია“-ს დირექტორი

თანდართული მუხრანები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

### ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა (თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

|                                             | შენიშვნა | 31.12.2024წ.     | 31.12.2023წ.     | 31.12.2022წ.    |
|---------------------------------------------|----------|------------------|------------------|-----------------|
| <b>აქტივები</b>                             |          |                  |                  |                 |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                |          |                  |                  |                 |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები  | 5        | 494,156          | 345,958          | 136,998         |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 6        | 321,594          | 461,496          | 20,236          |
| მარაგები                                    | 7        | 135,576          | 80,712           | 56,477          |
| სხვა მიმდინარე აქტივები                     |          | 55,344           | -                | 140             |
|                                             |          | <b>1,006,669</b> | <b>888,165</b>   | <b>213,851</b>  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                |          |                  |                  |                 |
| ძირითადი საშუალებები                        | 8        | 1,637,797        | 394,385          | -               |
| არამატერიალური აქტივები                     | 9        | 94,711           | -                | -               |
|                                             |          | <b>1,732,509</b> | <b>394,386</b>   | <b>-</b>        |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                     |          | <b>2,739,178</b> | <b>1,282,551</b> | <b>213,851</b>  |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>            |          |                  |                  |                 |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>           |          |                  |                  |                 |
| მოკლევადიანი სესხები                        | 10       | 368,264          | -                | -               |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები  | 11       | 164,339          | 408,008          | 212,934         |
| საგადასახადო ვალდებულებები                  |          | -                | 141,276          | 21,368          |
| დაქირავებულ პირთა მიმართ ვალდებულება        |          | 5,551            | 8,273            | 314             |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები             |          | -                | 87               | -               |
|                                             |          | <b>538,155</b>   | <b>557,644</b>   | <b>234,616</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                        |          |                  |                  |                 |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>           |          |                  |                  |                 |
| გრძელვადიანი სესხები                        | 10       | 563,212          | -                | -               |
|                                             |          | <b>563,212</b>   | <b>-</b>         | <b>-</b>        |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                     |          |                  |                  |                 |
| საწესდებო კაპიტალი                          |          | 11,701           | 16,145           | 350             |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)   |          | 1,626,110        | 708,762          | (21,115)        |
|                                             |          | <b>1,637,811</b> | <b>724,907</b>   | <b>(20,765)</b> |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                |          | <b>1,101,367</b> | <b>557,644</b>   | <b>234,616</b>  |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp; ვალდებულებები</b> |          | <b>2,739,178</b> | <b>1,282,551</b> | <b>213,851</b>  |

გამოსამუშავებლად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ნიგა და კომპანია“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

.....  
ალექსანდრე ალიბეგაშვილი

შპს „ნიგა და კომპანია“-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ნიცა და კომპანია (ს/კ 441487990)  
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები  
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

|                                                 | შენიშვნა | 31.12.2024წ.     | 31.12.2023წ.     |
|-------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები                                       | 12       | 3,768,225        | 3,047,425        |
| თვითღირებულება                                  |          | (1,313,155)      | (1,707,196)      |
| <b>საერთო მოგება</b>                            |          | <b>2,455,070</b> | <b>1,340,229</b> |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი                  | 13       | (1,336,224)      | (540,434)        |
| მიწოდების ხარჯი                                 |          | (73,984)         | (65,598)         |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა             |          | (28,755)         | -                |
| მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან | 14       | (10,020)         | -                |
| სხვა ხარჯები                                    | 15       | (54,131)         | (4,318)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                        |          | <b>951,956</b>   | <b>729,878</b>   |
| ფინანსური ხარჯი                                 | 11       | (34,609)         | -                |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა                        |          | <b>(34,609)</b>  | -                |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                       |          |                  |                  |
| <b>წმინდა მოგება</b>                            |          | <b>917,346</b>   | <b>729,878</b>   |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                 |          | <b>917,346</b>   | <b>729,878</b>   |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ნიცა და კომპანია“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

.....  
 ალექსანდრე ალიბეგაშვილი  
 შპს „ნიცა და კომპანია“-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## ფორმა N3- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

|                                   | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება/ზარალი | მთლიანი<br>კაპიტალი |
|-----------------------------------|-----------------------|--------------------------------|---------------------|
| <b>2022 წლის 1 იანვარი</b>        | -                     | -                              | -                   |
| მოგება ან ზარალი                  | -                     | (21,115)                       | (21,115)            |
| პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი | -                     | (21,115)                       | (21,115)            |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა          | 12,850                |                                | 12,850              |
| საწესდებო კაპიტალის შემცირება     | (12,500)              |                                | (12,500)            |
| <b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>     | <b>350</b>            | <b>(21,115)</b>                | <b>(20,765)</b>     |
| მოგება ან ზარალი                  | -                     | 729,878                        | 729,878             |
| პერიოდის სრული შემოსავალი         | 350                   | 708,762                        | 709,112             |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა          | 61,780                | -                              | 61,780              |
| მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე      | (45,986)              | -                              | (45,986)            |
| <b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>     | <b>16,144</b>         | <b>708,762</b>                 | <b>724,907</b>      |
| მოგება ან ზარალი                  | -                     | 917,346                        | 917,346             |
| პერიოდის სრული შემოსავალი         | 16,144                | 1,626,110                      | 1,642,254           |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა          | 11,701                | -                              | 11,701              |
| მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე      | (16,143)              | -                              | (16,143)            |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>     | <b>11,702</b>         | <b>1,626,110</b>               | <b>1,637,811</b>    |

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ნიგა და კომპანია“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

.....

ალექსანდრე ალიბეგაშვილი

შპს „ნიგა და კომპანია“-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**ფორმა N4- ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი**  
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

|                                                                              | 31.12.2024წ.       | 31.12.2023წ.     |
|------------------------------------------------------------------------------|--------------------|------------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობა</b>                                                 |                    |                  |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები                                   | 4,229,372          | 2,916,835        |
| ფულადი სახსრების სხვა შემოსვლა                                               | (43,619)           | -                |
| მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                                       | (1,934,755)        | (1,752,769)      |
| დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები                                  | (745,544)          | (347,610)        |
| გადახდილი გადასახადები                                                       | (899,128)          | (213,863)        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                       | <b>606,327</b>     | <b>602,594</b>   |
| <b>საინვესტიციო საქმიანობა</b>                                               |                    |                  |
| ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის | (1,340,939)        | (409,427)        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                     | <b>(1,340,939)</b> | <b>(409,427)</b> |
| <b>საფინანსო საქმიანობა</b>                                                  |                    |                  |
| ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან                             | 11,701             | 61,779           |
| ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან                                         | 996,877            | 124,186          |
| ფულადი სახსრების გასვლა კაპიტალის შემცირებისას                               | (16,143)           | (45,986)         |
| სესხის ძირის გადახდა                                                         | (75,943)           | (124,186)        |
| გადახდილი პროცენტი                                                           | (34,609)           | -                |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>                        | <b>881,882</b>     | <b>15,793</b>    |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში</b>        | <b>147,270</b>     | <b>208,960</b>   |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის                                         | <b>345,958</b>     | 136,998          |
| სავალუტო კურსის ეფექტი (მხოლოდ გადაფასება)                                   | 928                | -                |
| <b>ფულადი სახსრები წლის ბოლოს</b>                                            | <b>494,156</b>     | <b>345,958</b>   |

გამოსამზებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „ნიგა და კომპანია“-ს სახელით 2025 წლის 25 ივლისს

.....

ალექსანდრე ალიბეგაშვილი

შპს „ნიგა და კომპანია“-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ნიგა და კომპანია (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2022 წლის 20 მაისს.

ალექსანდრე ალიბეგაშვილი არის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი, რომელიც ამავე დროს არის კომპანიის დირექტორი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით, ბეტონის წარმოება და საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის ოურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N162, ბინა N21, ხოლო მისი ფაქტობრივი მისამართია შიდა ქართლი, ყაზბეგის რ-ნი, დაბა სტეფანწმინდა.

### 2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაჟეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.
- იგი პირველად წარადგენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის მიხედვით.

#### ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2025 წლის 25 ივლისს.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

#### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

##### სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

##### ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

| საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი |            |        |
|----------------------------------------------|------------|--------|
|                                              | აშშ დოლარი | ევრო   |
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის             | 2.8068     | 2.9306 |

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

| ძირითადი საშუალებების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა<br>(წელი) |
|------------------------------|----------------------------------------|
| ოფისის აღჭურვილობა           | 4-15                                   |
| მანქანა-დანადგარები          | 5-8                                    |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებები | 10-20                                  |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზიას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოვლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება მოპოვებული ქვიშა-ხრემის ოდენობის მიხედვით (წარმოებულ ერთეულთა მეთოდით), რომელიც არ აისახება მოგება-ზარალში ხარჯის სახით, არამედ ემატება წარმოებული ბეტონის თვითღირებულებას. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

### მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოვლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადებსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიუთვინებელ დანახარჯებს. წარმოებული ბეტონის თვითღირებულებაში აისახება წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯი: წარმოების პერსონალის ხელფასი, ნედლეული და მასალა, ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზიის ამორტიზაცია, სათანადო დანადგარის იჯარის ღირ-ბა და სხვა უშუალოდ მასთან დაკავშირებული დანახარჯები, რაც საჭიროა მზა პროდუქციის მისაღებად.

მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულებისა და ზოგიერთ შემთხვევაში დანახარჯების ცალ-ცალკე იდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენებით.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური

აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

## იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით გათვალისწინებული უფლებები აქტივებზე იჯარის დასაწყისში აღიარდება საწარმოს აქტივებად, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ოდენობით (ან, თუ ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით). მეიჯარის მიმართ ვალდებულება ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება.

საიჯარო გადასახდელები განაწილდება ფინანსურ ხარჯებსა და ფინანსური ვალდებულების შემცირებაზე ისე, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულების ნაშთის მიმართ. ფინანსური ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში. აქტივები, რომლებიც აღებულია ფინანსური იჯარით, ჩაირთვება ძირითად საშუალებებში, ხოლო ცვეთის დარიცხვა და გაუფასურების ზარალის შეფასება მოხდება იმავე წესით, როგორც საკუთრებაში მქონე აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. კომპანიას მიწის საოპერაციო იჯარის ფარგლებში საწარმოო ბაზა აქვს განთავსებული რომლის თანხა შედის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში. მოგება-ზარალში ხარჯად ასახული იჯარა განეკუთვნება მივლინების დროს იჯარით აღებული საცხოვრებელი ბინის საფასურს.

## ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელმწიფო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს, სალაროში და

მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია.

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

## ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

## ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს წარმოებული ბეტონის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებსა და გზების მშენებლობიდან მიღებულ ამონაგებს.

საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოვლით. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოიდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო

ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

## დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების.

## 4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალდებულებების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ

რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს

**შპს ნიგა და კომპანია (ს/კ 441487990)**  
**ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დაავისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

## 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

|                                 | 2024           | 2023           |
|---------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | -              | 3,329          |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 485,226        | 342,629        |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 8,929          | -              |
| <b>სულ</b>                      | <b>494,156</b> | <b>345,958</b> |

## 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

|                                    | 2024           | 2023           |
|------------------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო          | 254,196        | 423,289        |
| გადახდილი ავანსები                 | 28,792         | 21,212         |
| დასაქმებულ პირების მიმართ მოთხოვნა | 11,606         | 16,995         |
| სხვა მოთხოვნები                    | 27,000         | -              |
| <b>სულ</b>                         | <b>321,594</b> | <b>461,496</b> |

კომპანიას არ უღიარებია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 2024 წელს (2023 წელს 0 ლარი).

## 7. მარაგები

|               | 2024           | 2023          |
|---------------|----------------|---------------|
| მზა პროდუქცია | 6,522          | 6,583         |
| სხვა მარაგი   | 129,054        | 74,129        |
| <b>სულ</b>    | <b>135,576</b> | <b>80,712</b> |

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 119,103 ლარი (2023 წელს 387,734 ლარი), ხოლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულმა ხარჯმა 1,194,052 ლარი (2023 წელს 1,319,462 ლარი).

## 8. ძირითადი საშუალებები

| თვითღირებულება                   | მანქანა-დანადგარები | ავტოსანტრანსპორტო საშ. | ოფისის აღჭურვილობა | სულ              |
|----------------------------------|---------------------|------------------------|--------------------|------------------|
| <b>31 იანვარი 2024</b>           | <b>178,351</b>      | <b>222,267</b>         | <b>8,809</b>       | <b>409,427</b>   |
| შემოსვლა                         | 9,153               | 1,328,577              | 2,380              | 1,340,109        |
| გასვლა                           | -                   | (53,240)               | -                  | (53,240)         |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>         | <b>187,503</b>      | <b>1,497,604</b>       | <b>11,189</b>      | <b>1,696,297</b> |
| <b>ცვეთა და გაუფასურება</b>      |                     |                        |                    |                  |
| <b>31 იანვარი 2024</b>           | <b>(5,964)</b>      | <b>(8,719)</b>         | <b>(359)</b>       | <b>(15,042)</b>  |
| პერიოდის ცვეთა                   | (10,696)            | (33,131)               | (1,234)            | (45,061)         |
| გასვლა                           | -                   | 1,604                  | -                  | 1,604            |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>         | <b>(16,660)</b>     | <b>(40,247)</b>        | <b>(1,593)</b>     | <b>(58,499)</b>  |
| <b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b> |                     |                        |                    |                  |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>         | <b>172,387</b>      | <b>213,548</b>         | <b>8,450</b>       | <b>394,385</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>         | <b>170,843</b>      | <b>1,457,358</b>       | <b>9,596</b>       | <b>1,637,797</b> |

## 9. არამატერიალური აქტივები

| თვითღირებულება                   | ლიცენზია        | სულ             |
|----------------------------------|-----------------|-----------------|
| <b>31 იანვარი 2024</b>           | <b>-</b>        | <b>-</b>        |
| შემოსვლა                         | 150,534         | 150,534         |
| გასვლა                           | -               | -               |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>         | <b>150,534</b>  | <b>150,534</b>  |
| <b>ცვეთა და გაუფასურება</b>      |                 |                 |
| <b>31 იანვარი 2024</b>           | <b>-</b>        | <b>-</b>        |
| პერიოდის ცვეთა                   | (55,822)        | (55,822)        |
| გასვლა                           | -               | -               |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>         | <b>(55,822)</b> | <b>(55,822)</b> |
| <b>ნეტო საბალანსო ღირებულება</b> |                 |                 |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>         | <b>-</b>        | <b>-</b>        |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>         | <b>94,711</b>   | <b>94,711</b>   |

პერიოდის ამორტიზაცია, 55,822 ლარის ოდენობით, შესულია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

## 10. მოკლევადიანი სესხები

|                                                                                       | 2024            | 2023        |
|---------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-------------|
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები                           | 368,264         | -           |
| <b>სულ</b>                                                                            | <b>368,264</b>  | <b>-</b>    |
| <i>ფინანსური დანახარჯები</i>                                                          | <i>2024</i>     | <i>2023</i> |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი | (34,609)        | -           |
| <b>სულ ფინანსური დანახარჯები</b>                                                      | <b>(34,609)</b> | <b>-</b>    |
| <b>ნეტო ფინანსური დანახარჯები</b>                                                     | <b>(34,609)</b> | <b>-</b>    |

მოკლევადიანი სესხი წარმოადგენს ბანკიდან აღებული ორი გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილსა და საკრედიტო ხაზის დავალიანებას. სამივე სესხი დენომინირებულია დოლარში. სამივე სესხი აღებულია დანადგარებისა და საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

I სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 8.14%-ს და სესხის დაფარვის ვადა არის 2027 წლის 17 მაისი. საბანკო სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის სახელზე რიცხული 116,009 ლარის საბალანსო ღირ-ბის სპეციალიზებული ნახევარმისაბმელით.

II სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 8.99%-ს და სესხის დაფარვის ვადა რის 2027 წლის 17 დეკემბერი.

საკრედიტო ხაზის შემთხვევაში საპროცენტო ხარჯი გაიფშა თანხის ამესაბამისი ოდენობის ათვისების დროს, რომლის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8.90%-ს

## 11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

|                       | 2024           | 2023           |
|-----------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 156,298        | 368,563        |
| მიღებული ავანსები     | 8,041          | 39,445         |
| <b>სულ</b>            | <b>164,339</b> | <b>408,008</b> |

## 12. ამონაგები

|                     | 2024             | 2023             |
|---------------------|------------------|------------------|
| საქონლის გაყიდვა    | 1,042,444        | 616,583          |
| მომსახურების გაწევა | 2,725,781        | 2,430,843        |
| <b>სულ</b>          | <b>3,768,225</b> | <b>3,047,425</b> |

## 13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

|                                             | 2024    | 2023    |
|---------------------------------------------|---------|---------|
| დასაქმებულთა ხელფასები და სარგებელი         | 861,135 | 404,488 |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი               | 45,061  | 9,078   |
| სატრანსპორტო მომსახურების და საწვავის ხარჯი | 159,882 | 67,698  |
| საიჯარო ხარჯი                               | 103,101 | 26,197  |
| ტექნიკის რემონტის ხარჯი                     | 63,556  | 19,865  |
| მივლინების ხარჯი                            | 56,018  | 180     |

**შპს ნიგა და კომპანია (ს/კ 441487990)**

**ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

|                               |                  |                |
|-------------------------------|------------------|----------------|
| კომუნალური ხარჯები            | 21,748           | -              |
| დაზღვევის ხარჯი               | 8,433            | -              |
| ბანკის მომსახურების საკომისიო | 6,537            | 1,979          |
| საოფისე ინვენტარი             | 3,548            | 2,145          |
| ლაბორატორიული მომსახურება     | -                | 8,475          |
| სხვა საერთო ხარჯი             | 7,205            | 330            |
| <b>სულ</b>                    | <b>1,336,224</b> | <b>540,434</b> |

**14. მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან**

|                                  | <b>2024</b>   | <b>2023</b> |
|----------------------------------|---------------|-------------|
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება | (166,280)     | -           |
| საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი | 176,299       | -           |
| <b>სულ</b>                       | <b>10,020</b> | <b>-</b>    |

**15. სხვა ხარჯები**

|                         | <b>2024</b>   | <b>2023</b>  |
|-------------------------|---------------|--------------|
| ქონების გადასახადი      | 10,161        | 1,972        |
| ჯარიმა                  | 9,546         | 760          |
| სხვა საგადასახადო ხარჯი | 34,425        | 1,586        |
| <b>სულ</b>              | <b>54,131</b> | <b>4,318</b> |

**16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები**

**დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხები**

|                                                              | <b>2024</b> | <b>2023</b> |
|--------------------------------------------------------------|-------------|-------------|
| დირექტორისა და სხვა დაკავშირებულ მხარისგან მიღებული სესხები: |             |             |
| საწყისი ნაშთი                                                | -           | -           |
| პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები                       | 124,186     | -           |
| პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები                       | (124,186)   | -           |
| <b>სულ პერიოდის ბოლოს</b>                                    | <b>-</b>    | <b>-</b>    |

დირექტორისგან 2024 წელს აღებული იყო უპროცენტო მოკლევადიანი სესხი, რომელიც დაფარვას ექვემდებარებოდა მოთხოვნისთანავე. აღნიშნული სესხი დენომინირებული იყო ლარში და დაფარული იქნა იმავე წელს

**დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება**

|                             | <b>2024</b>    | <b>2023</b>   |
|-----------------------------|----------------|---------------|
| შრომის ანაზღაურება მთლიანად | 206,256        | 46,722        |
| <b>სულ</b>                  | <b>206,256</b> | <b>46,722</b> |

**17. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოვლენები არ მომხდარა.